1974/2

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარიანებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 10 (405)

1974 წლის ოქტომბერი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს

უწყებები

№ 10 (405) ოქტომბერი 1974 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

განყოფილება პირველი

190. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში დამატებათა შეტანის შესახებ.

191. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.

განყოფილება მეორე

192. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სახალხო წოდების მინიჭების შესახებ.

193. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ა. ტოვსტონოგოვისათვის საქართველოს სსრ სახალხო არტისტის სახელო წოდების მინიჭების შესახებ.

194. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ლ. მ. ისაკაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

195. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. კ. ტ. მიქაიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

196. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ბ. ი. სმირნოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

197. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. თ. ი. ღლონტის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

198. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ზ. შანშიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპაატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

199. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფესორ ი. ზ. ცინცაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

200. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. ვ. ბაიდოშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

201. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. მ. ფორჩხიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

202. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. შ. ა. ნიჟარაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატაიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.
საინფორმაციო ცნობა.
ცვლილებები ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

190 საქართველოს სსრ სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში დამატებათა შეტანის შესახებ

„ადამიანების ჯანმრთელობის ან ზღვის ცოცხალი რესურსებისათვის მავნე ნივთიერებებით ზღვის გაჭუჭყიანების გამო პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 26 თებერვლის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსს დაემატოს 176[1] და 176[2] მუხლები შემდეგი შინაარსისა:

„მუხლი 176[1] ადამიანების ჯანმრთელობის ან ზღვის ცოცხალი რესურსებისათვის მავნე ნივთიერებებით ზღვის გაჭუჭყიანება

სსრ კავშირის შინაგანი, საზღვაო და ტერიტორიული წყლების გაჭუჭყიანება იმის შედეგად, რომ უკანონოდ ჩაყარეს ამ წყლებში გემებიდან ან სხვა მცურავი საშუალებებიდან ადამიანების ჯანმრთელობის ან ზღვის ცოცხალი რესურსებისათვის მავნე ნივთიერებები ან ნარევები, რომლებიც ასეთ ნივთიერებებს შეიცავენ დადგენილი ნორმების გადაჭარბებით, ან არ მიიღეს საჭირო ზომები, რათა თავიდან აეცილებინათ მათი დაკარგვა, აგრეთვე ღია ზღვის წყლების გაჭუჭყიანება იმის შედეგად, რომ საბჭოთა გემებიდან და სხვა მცურავი საშუალებებიდან ჩაყარეს აღნიშნული ნივთიერებები ან შენარევები ან არ მიიღეს საჭირო ზომები, რათა თავიდან აეცილებინათ მათი დაკარგვა, და ამით დაარღვიეს საერთაშორისო შეთანხმებები, რომლებშიც მონაწილეობს სსრ კავშირი, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე ან ჯარიმით ათი ათას მანეთამდე.

იგივე მოქმედება, რომელმაც არსებითი ზიანი მიაყენა ადამიანების ჯანმრთელობას ან ზღვის ცოცხალ რესურსებს, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე ან ჯარიმით ოცი ათას მანეთამდე.

მუხლი 176[2]. გემის ან სხვა მცურავი საშუალების კაპიტნის მიერ ადამიანების ჯანმრთელობის ან ზღვის ცოცხალი რესურსებისათვის მავნე ნივთიერებათა ზღვაში ჩაყრის შესახებ შეუტყობინებლობა

გემის ან სხვა მცურავი საშუალების კაპიტნის მიერ უახლოესი საბჭოთა პორტის ადმინისტრაციისათვის შეუტყობინებლობა იმისა, რომ სსრ კავშირის შინაგან საზღვაო ან ტერიტორიული წყლების ფარგლებში მზადდება ან უკი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დურესი აუცილებლობის შედეგად მოხდა ამ გემიდან ან სხვა მცურავი საშუალებიდან ადამიანების ჯანმრთელობისა და ზღვის ცოცხალი რესურსებისათვის მავნე ნივთიერებების ან ისეთი შენარევების ჩაყრა, რომლებიც ასეთ ნივთიერებებს დადგენილი ნორმების გადაჭარბებით შეიცავენ, ან მათი დაკარგვის თავიდან აცილება შეუძლებელია, —

ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე ან ჯარიმით ხუთას მანეთამდე".

2. დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 176^1 და 176^2 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა გამო საქმეთა გამოძიებას აწარმოებენ პროკურატურის ორგანოების გამომძიებლები.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 126-ე მუხლის მესამე ნაწილს ციფრის „163^1" შემდეგ დაემატოს ციფრები „176^1, 176^2".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

ქ. თბილისი, 1974 წლის 25 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

191 საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებანი და დამატებანი:

1. 85-ე, 222-ე და 348-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 85. სახელმწიფო ბაჟის ოდენობა

თითოეულ, როგორც ძირითად ისე შეგებებულ სასარჩელო განცხადებისათვის და განცხადებისათვის წინასახელშეკრულებო დავის გამო, აგრეთვე მესამე პირის განცხადებისათვის, რომელიც უკვე დაწყებულ პროცესში დამოუკიდებელ მოთხოვნას აყენებს დავის საგანზე, სახელმწიფო ბაჟი გადახდება შემდეგი ოდენობით:

1) თუ სარჩელის ფასი 20 მანეთამდეა — 30 კაპიკი;

2) თუ სარჩელის ფასი 20 მანეთი და მეტია 50 მანეთამდე — 50 კაპიკი;

3) თუ სარჩელის ფასი 50 მანეთი და მეტია 500 მანეთამდე — სარჩელის ფასის ორი პროცენტი;

4) თუ სარჩელის ფასი 500 მანეთი და მეტია — სარჩელის ფასის ექვსი პროცენტი;

5) კოლმეურნეობათა და საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციების დავის გამო სახელმწიფო, კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ საწარმო-

ებთან, ორგანიზაციებთან და დაწესებულებებთან, აგრეთვე ურთიერთშორის-სარჩელის ფასის ერთი პროცენტი, მაგრამ არა ნაკლებ 10 კაპიკისა;

6) არაქონებრივი ხასიათის სარჩელზე და იმ სარჩელზე, რომლებიც არ შეფასდება — 30 კაპიკი;

7) წინასახელშეკრულებო დავის განცხადებებზე — 5 მანეთი;

8) საცხოვრებელი სადგომი ქირავნობის ხელშეკრულების შეცვლის ან მოშლის შესახებ სარჩელისათვის — 30 კაპიკი;

9) ყადაღისაგან ქონების გათავისუფლების შესახებ სარჩელისათვის — 30 კაპიკი;

10) განქორწინების საქმეებზე სარჩელისათვის — 10 მანეთი, ხოლო სარჩელისათვის იმ პირებთან განქორწინების შესახებ, რომლებიც დადგენილი წესით აღიარებული არიან უკვალოდ დაკარგულად, არაქმედუნარიანად სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის გამო, ან რომლებსაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა ხანგრძლივი ვადით (არანაკლებ სამი წლისა), აგრეთვე სარჩელებისათვის განქორწინების შესახებ, რომლებიც წარადგინეს ხანგრძლივი ვადით (არანაკლებ სამი წლისა) თავისუფლებააღკვეთილმა მსჯავრდებულებმა, — სახელმწიფო ბაჟი გადახდება არაქონებრივი სასარჩელო განცხადებებისათვის დაწესებული ოდენობით.

განსაკუთრებული წარმოების საქმეების გამო განცხადებებზე სახელმწიფო ბაჟი უნდა გადახდეს 30 კაპიკის ოდენობით.

სასამართლო გადაწყვეტილების გამო შეტანილ საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის გადახდევინება ხდება სადავო თანხისათვის ამ მუხლით დაწესებული განაკვეთის ნახევარი ოდენობით. განქორწინების საქმეებზე სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების გამო შეტანილი საკასაციო საჩივრები თავისუფლდება სახელმწიფო ბაჟის გადახდევინებისაგან.

სასამართლოს განჩინების გამო შეტანილ კერძო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი არ გადახდება.

საქმეში არსებული ქაღალდებისა და საბუთების პირების, მათ შორის სასამართლოს გადაწყვეტილების, განჩინებისა და დადგენილების პირების მეორედ გაცემისას სახელმწიფო ბაჟი გადახდება 20 კაპიკის ოდენობით".

„მუხლი 222. სასამართლოს უფლება-შეაჩეროს საქმის წარმოება

სასამართლოს, საქმეში მონაწილე პირთა განცხადებით ან შუამდგომლობით, აგრეთვე თავისი ინიციატივით, შეუძლია შეაჩეროს საქმის წარმოება შემდეგ შემთხვევებში:

1. თუ მხარე იმყოფება ნამდვილ ვადიან სამხედრო სამსახურში სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში ან გაწვეული არის რაიმე სახელმწიფო მოვალეობის შესასრულებლად;

2. თუ მხარე იმყოფება ხანგრძლივ სამსახურებრივ მივლინებაში;

3. თუ მხარე იმყოფება სამკურნალო დაწესებულებაში ან თუ იგი ისე არის ავად, რომ საშუალება არა აქვს გამოცხადდეს სასამართლოში და ეს დასტურდება სამედიცინო დაწესებულების ცნობით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. მოპასუხის ძებნისას ისეთ შემთხვევებში, რომლებიც ამ კოდექსის 120-ე მუხლით არის გათვალისწინებული;

5) თუ სასამართლომ დანიშნა ექსპერტიზა".

„მუხლი 348. განცხადების და წარდგენების შეტანა

განცხადება და წარდგენება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო სასამართლოს გადაწყვეტილების, განჩინების ან დადგენილების გადასინჯვის შესახებ შეტანილ უნდა იქნეს გადაწყვეტილების, განჩინების ან დადგენილების გამომტან სასამართლოში არა უგვიანეს სამი თვისა იმ გარემოების დადგენის დღიდან, რაც საფუძველს წარმოადგენს გადასინჯვისათვის.

ეს ვადა არ ვრცელდება ამ კოდექსის 347-ე მუხლში ჩამოთვლილ თანამდებობის პირებზე".

2. 203-ე მუხლს დაემატოს მეექვსე ნაწილი შემდეგი შინაარსისა:

„ განქორწინების საქმეებზე გამოტანილი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში უნდა იქნეს განსაზღვრული თანხა 50-დან 200 მანეთამდე, რაც გადახდება ერთს ან ორივე მეუღლეს მათთვის განქორწინების მოწმობის მიცემისას, ხოლო იმ პირებთან განქორწინების საქმეებისათვის, რომლებიც დადგენილი წესით აღიარებული არიან უკვალოდ დაკარგულად, არაქმედუნარიანად სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის გამო, მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა ხანგრძლივი ვადით (არანაკლებ სამი წლისა), აგრეთვე სარჩელებისათვის განქორწინების საქმეებზე, რომლებიც წარადგინეს ხანგრძლივი ვადით (არანაკლებ სამი წლისა) თავისუფლებაღკვეთილმა პირებმა, — აღნიშნული თანხა არ გადახდება".

3. 223-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2) ამ კოდექსის 221-ე მუხლის მე-3 პუნქტით და 222-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში — სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში მხარის ყოფნამდე, მის მიერ სახელმწიფო მოვალეობის შესრულებამდე, სამსახურებრივი მივლინებიდან დაბრუნებამდე, სამკურნალო დაწესებულებიდან გამოწერამდე ან გამოჯანმრთელებამდე, მოპასუხის მოძებნამდე ან ექსპერტიზის დამთავრებამდე".

4. 351-ე მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების, განჩინების ან დადგენილების გადასინჯვის შესახებ განცხადებასა ან წარდგენებზე უარის თქმის გამო მიღებული განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს საერთო წესების მიხედვით".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაპაძე.

თბილისი, 1974 წლის 25 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება მეორე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

192 საქართველოს სსრ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

სახალხო განათლების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება

საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის

ანტონ კონსტანტინეს ძე **აბაშიძეს** — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პოლიტექნიკური და საწარმოო სწავლების მეთოდური კაბინეტის მეთოდისტს.

ჯალილ მუსა ოღლი **აივაზოვს** — ბოლნისის რაიონის არახლოს საშუალო სკოლის ორგანიზატორს კლასგარეშე და სკოლის გარეშე აღმზრდელობითი მუშაობის დარგში.

გიორგი ივანეს ძე **ალავერდაშვილს** — თბილისის III საშუალო სკოლის მასწავლებელს.

ალექსანდრე ალექსანდრეს ძე **ალავიძეს** — ცაგერის რაიონის ალპანის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

ტერეზია გიორგის ასულ **ალანიას** — ხობის რაიონის ქვემო ქვალონის მე-2 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

ოლგა ვასილის ასულ **ალბოროვას** — ცხინვალის მეორე საშუალო სკოლის მასწავლებელს.

მარგალიტა ნიკოლოზის ასულ **ანჯაფარიძეს** — კასპის რაიონის ახალქალაქის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

გაგა თათარას ძე **არაბულს** — დუშეთის რაიონის ბარისახოს საშუალო სკოლა-ინტერნატის დირექტორის მოადგილეს.

ნინა გრიგოლის ასულ **არახამიას** — სოხუმის რკინიგზის № 30 საბავშვო ბაღის გამგეს.

თინა ილიას ასულ **ასათიანს** — სამტრედიის რკინიგზის № 13 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

სანდუხტ ამბარცუმის ასულ **ასლანიანს** — მარნეულის რაიონის შაუმიანის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელს.

თინათინ იოსების ასულ **აფშინაშვილს** — წითელწყაროს რაიონის ქვემო ქედის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

იოსებ აპოლონის ძე **ახვლედიანს** — ქუთაისის ყრუ ბავშვთა სკოლა-ინტერნატის დირექტორის მოადგილეს.

ელენე ტრიფონის ასულ **ბარაბაძეს** — თბილისის მ. ბალანჩივაძის სახელობის მე-3 მუსიკალური სასწავლებლის სასწავლო ნაწილის გამგეს.

ციალა გიორგის ასულ **ბასილაშვილს** — ქუთაისის რკინიგზის № 23 საბავშვო ბაღის აღმზრდელს.

მზითარ ოგანესის ძე **ბაღდასარიანს** — თბილისის 74-ე საშუალო სკოლის დირექტორს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარიამ გერასიმეს ასულ **ბაშინჯალოვს** — თბილისის მე-60 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

დიმიტრი გრიგოლის ძე **ბეკოევს** — ცხინვალის რაიონის გერის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

ნადეჟდა ვასილის ასულ **ბელიაკოვას** — თბილისის მილიციის სპეციალური საშუალო სკოლის ინსპექტორს.

ანა ტიხონის ასულ **ბეჭდენეფნაიას** — თბილისის 88-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.

თინა ტერენტის ასულ **ბერეკაშვილს** — ადიგენის რაიონის ხევაშენის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელს.

ვიქტორ კონსტანტინეს ძე **ბლუაშვილს** — ხაშურის რკინიგზის № 4 საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს.

პანტელეიმონ ვასილის ძე **ბოჯგუას** — ცხაკაიას მეორე საშუალო სკოლის მასწავლებელს.

ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე **ბრეგვაძეს** — ქ. ჭიათურის ქვაციხის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

თამარ ვასილის ასულ **ბურჯანაძეს** — თბილისის 53-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.

მარიამ ზაქარიას ასულ **ბუჯიაშვილს** — თიანეთის რაიონის ხევსურთსოფლის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

პავლე დავითის ძე **გაგლოევს** — ცხინვალის რაიონის გერის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

მიხეილ ვასილის ძე **გადახაბაძეს** — ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის უფროს მასწავლებელს.

ანა იოსების ასულ **გერგაულოვას** — ჯავის რაიონის ბითეთის დაწყებითი სკოლის მასწავლებელს.

ავნესა ალექსანდრეს ასულ **გოკიელს** — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის უფროს მასწავლებელს.

შალვა ალექსანდრეს ძე **გოცაძეს** — თბილისის ლენინის რაიონის განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ლენინის რაიკომის თავმჯდომარეს.

ვლადიმერ ისიდორეს ძე **დანელიას** — გეგეჭკორის რაიონის ლეხაინდრავოს საშუალო სკოლის მასწავლებელს.

ზინაიდა ილარიონის ასულ **დემანიას** — გალის რაიონის აჩიგვარის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს.

ვასილ სამსონის ძე **დვალს** — ამბროლაურის რაიონის ნიკორწმინდის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

მიხეილ ბესარიონის ძე **დოვვირს** — თბილისის № 35 ტექნიკური სასწავლებლის დირექტორს.

ელენე ამბროსის ასულ **ესაკიას** — თბილისის მე-14 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარიამ ვასილის ასულ **ვადაჭკორიას** — თბილისის 82-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.

ეთერ სიმონის ასულ **თავაძეს** — ჩოხატაურის რაიონის ვანზომლეთის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

იოსებ ივანეს ძე **თარხნიშვილს** — გორის რაიონის ახალხიზის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელს.

ქეთევან ანტონის ასულ **თევზაძეს** — თბილისის რკინიგზის № 16 ბავშვთა ბაგა-ბაღის გამგეს.

ალექსანდრა ვიაჩესლავის ასულ **იაკინას** — თბილისის ოფიცერთა სახლთან არსებული საღამოს საშუალო სკოლის მასწავლებელს.

მარიამ დავითის ასულ **იმედაშვილს** — ყვარლის რაიონის გავაზის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

ეკატერინა ჯემალის ასულ **ინაიშვილს** — ქობულეთის რაიონის ქვედა კვირიკის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

ნატალია გიორგის ასულ **იოსებაშვილს** — ახმეტის რაიონის მაღრაანის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

შალვა აბდულის ძე **კაკაბაძეს** — ქედის რაიონის სილიბაურის დაწყებითი სკოლის გამგეს.

ვენერა ალექსის ასულ **კალანდაძეს** — თბილისის 67-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.

მამიკა თომას ასულ **კალანდაძეს** — ქარელის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორს.

თინათინ ალექსანდრეს ასულ **კანდელაკს** — თბილისის პოლიტექნიკური ტექნიკუმის მასწავლებელს.

ნაზო იაკობის ასულ **კაჭარავას** — ბათუმის პროფტექნიკური სასწავლებლის მასწავლებელს.

კონსტანტინე გიორგის ძე **კვირიკაშვილს** — ონის რაიონის ცხმორის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელს.

გიორგი ნიკოლოზის ძე **კიკნაძეს** — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის დირექტორის მოადგილეს.

ნინო ოლიფანტეს ასულ **კირთაძეს** — ხაშურის რკინიგზის № 13 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

ალექსანდრე ისაკის ძე **კობახიძეს** — თბილისის საღამოს № 10 საშუალო სკოლის დირექტორს.

ნადეჟდა (გენა) მიხეილის ასულ **კობახიძეს** — ქუთაისის ვ. მაიაკოვსკის სახელობის პირველი საშუალო სკოლის მასწავლებელს.

პეტრე პეტრეს ძე **კოლობოვს** — თბილისის 43-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.

ოთარ დავითის ძე **კუტუბიძეს** — თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის დირექტორის მოადგილეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარლამ იასონის ძე **კუხიანიძეს** — ქუთაისის სამთო ტექნიკუმის დირექტორს.

პაილაკ ამბარცუმის ძე **მაიტესიანს** — ბოგდანოვკის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების ინსპექტორს.

ტიხონ სიოს ძე **მამალაძეს** — პენსიონერს.

მერი გიორგის ასულ **მამასტარაშვილს** — ბორჯომის რაიონის სოფელ ტაძრისის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

დავით იუსტინეს ძე **მამფორიას** — ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის უფროს მასწავლებელს.

გრიგოლ სტეფანეს ძე **მარუაშვილს** — მცხეთის რაიონის პატარა ქანდის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელს.

დავით ნესტორის ძე **მეგრელიშვილს** — ქუთაისის ავტომექანიკური ტექნიკუმის დირექტორს.

თინა გერმანეს ასულ **მელქაძეს** — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორს.

თედო ილიას ძე **მექვაბიძეს** — ზესტაფონის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მასწავლებელს.

ლუზა ივანეს ასულ **მეძმარიაშვილს** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებელს.

ნინო მელიტონის ასულ **მიქაუტაძეს** — ფოთის ნ. ნიკოლაძის სახელობის მე-2 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

თამარ ალექსანდრეს ასულ **მორჩილაძეს** — თბილისის პლასტმასის ქარხნის № 103 საბავშვო ბაღის აღმზრდელს.

გრიგოლ სოლომონის ძე **მშვილდაძეს** — მაიაკოვსკის რაიონის მეორე ობჩის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელს.

კონსტანტინე ნიკოლოზის ძე **ნადირაძეს** — საჩხერის ი. ჭავჭავაძის სახელობის მე-2 საშუალო სკოლის დირექტორს.

ელენე გრიგოლის ასულ **ნაფეტვარიძეს** — ვანის რაიონის შუამთის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

თამარ სპირიდონის ასულ **ნუსხელიძეს** — თელავის რაიონის აკურის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

ალექსანდრა არდევანის ასულ **ონიანს** — ლენტეხის რაიონის ჯახუნდერის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

კონსტანტინე ნესტორის ძე **ყორდანიას** — ქალაქ სოხუმის საღამოს საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილეს.

ნინო გიორგის ასულ **რევაზოვას** — საგარეჯოს მე-2 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

დავით ისაის ძე **რეიზნერს** — თბილისის მ. ბალანჩივაძის სახელობის მე-3 მუსიკალური სასწავლებლის მასწავლებელს.

პარასკევა მიხეილის ასულ **სანაიას** — გულრიფშის საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნადეჟდა მიხეილის ასულ **სილაგაძეს** — თბილისის მე-7 მუსიკალური სკოლის მასწავლებელს.

ვარლამ კონსტანტინეს ძე **სოტკილავას** — ზუგდიდის რაიონის ჯიხასკარის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

აზიზ ისკოს ძე **სლოევს** — თბილისის მე-7 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

გრიგოლ საბას ძე **ტაკიძეს** — მახარაძის რაიონის ნატანების საშუალო სკოლის მასწავლებელს.

ნინო პორფილეს ასულ **ფანჯავიძეს** — პენსიონერს.

ვარლამ პეტრეს ძე **ფაჩულიას** — ოჩამჩირის რაიონის ფოქვეშის საშუალო სკოლის დირექტორს.

ვალერიან დიმიტრის ძე **ფირცხალავას** — აბაშის რაიონის გეზათის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელს.

შამშე ვიქტორის ძე **ქევანაშვილს** — ამბროლაურის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მასწავლებელს.

მარიამ ვლადიმერის ასულ **ქირიას** — სოხუმის რკინიგზის № 2 საშუალო სკოლა-ინტერნატის მასწავლებელს.

ნინო ნოეს ასულ **ქურიძეს** — ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის რკინიგზის პიონერთა სახლის ნორჩ ნატურალისტთა განყოფილების გამგეს.

თინათინ ივანეს ასულ **ღვინიაშვილს** — გორის მე-3 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

გულიჯან სოლომონის ასულ **შაიშმელაშვილს** — სიღნაღის რაიონის ნუკრიანის პირველი საშუალო სკოლის მასწავლებელს.

ელა ვლადიმერის ასულ **შოხატს** — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის მე-2 მუსიკალური სასწავლებლის მასწავლებელს.

მიხეილ პავლეს ძე **ჩაჩუას** — სამტრედიის რაიონის დაბლა გომის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელს.

ოლღა ილიას ასულ **ჩიბირაშვილს** — ლენინგორის პირველი საშუალო სკოლის დირექტორს.

ეთერ გიორგის ასულ **ჩხეიძეს** — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს № 2 რესპუბლიკური ბაგა-ბაღის გამგეს.

თინა პარმენის ასულ **ჩხეიძეს** — შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის პედაგოგს.

ქეთევან ილიას ასულ **ცხვედიანს** — თეთრიწყაროს ქართული საშუალო სკოლის დირექტორს.

ქეთევან ყასფოლის ასულ **ჩქარეულს** — ყაზბეგის რაიონის გორისციხის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელს.

ელენე დიმიტრის ასულ **ცენტერაძეს** — ხელვაჩაურის რაიონის ფერიის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

ანგელინა ბარამის ასულ **ცინაძეს** — რუსთავის № 61 საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლის სასწავლო ნაწილის გამგეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქეთევან არჩილის ასულ **ცუცქირიძეს** — გურჯაანის რკინიგზის № 17 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

იულია თეოფილეს ასულ **წულაძეს** — თბილისის მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმის მასწავლებელს.

შალვა სამსონის ძე **ჭანტურიას** — ზუგდიდის მე-5 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

იოსებ კონსტანტინეს ძე **ჭარელიშვილს** — თბილისის 31-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს.

სარა სანდროს ასულ **ჭეხანს** — მესტიის რაიონის წვირმის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელს.

ევდოსია ალექსანდრეს ასულ **ჭილლაძეს** — გორის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მასწავლებელს.

კალისტრატე ლავრენტის ძე **ხარაძეს** — პენსიონერს.

რაფიელ აკაკის ძე **ხაბურძანიას** — ქუთაისის რკინიგზის № 23 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

ფიქრი რომზის ასულ **ხიბბას** — სოხუმის № 2 მუსიკალური სკოლის დირექტორს.

კონსტანტინე ანტონის ძე **ხუნტუას** — ჩხოროწყუს რაიონის ლეწურწუმეს საშუალო სკოლის მასწავლებელს.

ვალენტინა ანატოლის ასულ **ჯაიანს** — თბილისის მე-8 მუსიკალური სკოლის მასწავლებელს.

დიკრან ვახაიდის ძე **ჯიკირბას** — გუდაუთის I საშუალო სკოლის დირექტორს.

საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების დამსახურებული მასწავლებლის:

არუთი ბარსეღის ძე **გევორქიანს** — ბორჯომის № 7 ქალაქის პროფტექნიკური სასწავლებლის მასწავლებელს.

გუგული ლუკას ასულ **დევიძეს** — ქუთაისის № 4 საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლის მასწავლებელს.

გიორგი ასტონის ძე **კირკიტაძეს** — ტყიბულის № 19 პროფტექნიკური სასწავლებლის მასწავლებელს.

ნესტორ ილიას ძე **მაგრაქველიძეს** — თბილისის № 5 საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლის დირექტორის მოადგილეს.

ვლადიმერ პორფილეს ძე **მეხუზლას** — თბილისის № 18 საშუალო სამშენებლო პროფტექნიკური სასწავლებლის მასწავლებელს.

შოთა პოლიკარპეს ძე **რუხაძეს** — ფოთის № 12 ქალაქის საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლის დირექტორს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბესალომ კონსტანტინეს ძე **ჩეჩელაშვილს** — გარდაბნის № 10 სოფლის საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლის დირექტორს.

საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების დამსახურებული ოსტატის:

რევაზ ივანეს ძე **გუბელაძეს** — ქუთაისის № 21 ქალაქის საშუალო პროფ-ტექნიკური სასწავლებლის საწარმოო სწავლების ოსტატს.

სოლომონ დავითის ძე **სულხანიშვილს** — ბოლნისის რაიონის კაზრეთის № 25 ქალაქის საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლის დირექტორს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 4 ოქტომბერი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

193 ამხ. ბ. ა. ტოვსტონოგოვისათვის საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, სსრ კავშირის სახალხო არტისტს, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატს, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, ლენინგრადის მ. გორკის სახელობის აკადემიური დიდი დრამატული თეატრის მთავარ რეჟისორს გიორგი ალექსანდრეს ძე **ტოვსტონოგოვს** მიენიჭოს **საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდება.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 2 ოქტომბერი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

194 ამხ. ლ. მ. ისაკაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა, კომკავშირულ და პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს კომპარტიის კასპის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ლევან მიხეილის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძე ისაკაძე დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 7 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

195 ამხ. კ. ტ. მიქიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვების შესახებ

პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. კონსტანტინე ტრიფონის ძე **მიქიაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 7 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

196 ამხ. ბ. ი. სმირნოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვების შესახებ

რესპუბლიკის სამშენებლო ორგანიზაციებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის განყოფილების გამგე ამხ. ბოიან ივანეს ძე **სმირნოვი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 7 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

197 ამხ. თ. ი. ღლონტის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, თბილისის ექიმთა დახელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის კათედრის გამგე ამხ. თამარ ირაკლის ასული ღლონტი დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი, 1974 წლის 7 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

198 ამხ. ა. ზ. შანშიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს კომპარტიის გარდაბნის რაიკომის მეორე მდივანი ამხ. ავთანდილ ზაქარიას ძე შანშიაშვილი დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი, 1974 წლის 7 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

199 პროფესორ ი. ზ. ცინცაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი იასე ზაქარიას ძე **ცინცაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი, 1974 წლის 7 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

200 ამხ. ი. ბ. ბაიდოშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სოფლის მეურნეობაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, სიღნაღის რაიონის სოფელ მაღაროს კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი ამხ. ივანე ვასილის ძე **ბაიდოშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 9 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

201 ამხ. გ. მ. ფორჩხიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს პოლიგრაფიულ მრეწველობაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის დირექტორის მოადგილე და მთავარი ინჟინერი ამხ. გიორგი მალაქიას ძე **ფორჩხიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 25 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

202 ამხ. შ. ა. ნიჟარაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდის საქმეში აქტიური მონაწილეობისათვის, დაბადების ოთხმოც წელთან დაკავშირებით, გადამდგარი პოლკოვნიკი ამხ. შალვა ალექსანდრეს ძე **ნიჟარაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 29 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანუფაქტურა მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, რომელმაც 1974 წლის 25 ოქტომბრის სხდომაზე განიხილა საკითხი ყვარლის რაიონის გავაზის სასოფლო საბჭოს დეპუტატთა ინიციატივის საპასუხოდ აღებულ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ ახმეტის, საჩხერისა და წალენჯიხის რაიონების მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებში აღნიშნა, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბოლოდროინდელმა გადაწყვეტილებებმა, აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 28 მარტის დადგენილებამ ყვარლის რაიონის გავაზის სასოფლო საბჭოს დეპუტატთა თაოსნობის შესახებ, მნიშვნელოვნად შეუწყვეს ხელი ახმეტის, საჩხერისა და წალენჯიხის რაიონების მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების შემდგომ გადიდებაში, მეცხრე ხუთწლედის მეოთხე განმსაზღვრელი წლის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის მშრომელთა ფართო მასების მობილიზებასა და მათი შემოქმედებითი ინიციატივის შემდგომ განვითარებაში.

ახმეტის, საჩხერისა და წალენჯიხის რაიონების მშრომელთა დეპუტატებისა საბჭოების აღმასკომების სხდომებზე, დეპუტატთა შეკრებებზე და მშრომელთა თავყრილობებზე განხილულ იქნა აღნიშნული ინიციატივა, დაისახა ღონისძიებათა კომპლექსური გეგმები, რომლებიც ითვალისწინებდნენ ყინვისაგან დაზიანებული ვაზის უსწრაფეს აღდგენას, ზვრებში მეჩხერიანობის ლიკვიდაციას და, საერთოდ დეპუტატების სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობას; გარდა ამისა თითოეული დეპუტატის მიერ თავიანთ საარჩევნო ოლქებში ყველა შრომისუნარიანი პირის საზოგადოებრივ სასარგებლო შრომაში ჩაბმას.

ყოველივე ზემოაღნიშნულმა დადებითი გავლენა მოახდინა, როგოც ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა, ასევე მთლიანად მეცხრე ხუთწლედის მეოთხე განმსაზღვრელი წლის გეგმებით გათვალისწინებულ დავალებათა შესრულებაზე.

ახმეტის რაიონის ადგილობრივი საბჭოების დეპუტატებმა გავაზელთა მოწოდების საპასუხოდ იკისრეს 18 ათასი ჰექტარი ზვრების აღდგენა, 36 ათასი ძირი ვაზის გადაწვენა, 27 ათასი ძირი ვაზის გამორგვა-გადახეივნება და ნაცვლად 11 ათასი ტონისა, 15.010 ტონა ყურძნის დამზადება. ამასთანავე თითოეულმა დეპუტატმა ივალდებულა 0,5 ჰექტარ ფართობზე სიმინდის ნათესების მოვლა-პატრონობა, აბრეშუმის პარკის დამზადება, თავთავიანი კულტურებისა და ყურძნის მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღება. საჩხერის რაიონის დეპუტატებმა ვალდებულება აიღეს გადაეწვინათ 155.959 ძირი ვაზი. შემოწმების დროს უკვე გადაწვენილი იყო 75.959 და გამორგული — 14.623 ძირი ვაზი, რითაც ვენახების ფართობს შეემატა 20 ჰექტარზე მეტი.

წალენჯიხის რაიონის დეპუტატებმა იკისრეს ჩაის ფოთლის კრეფის ადრე აღებული პირადი გეგმა-ვალდებულების ზევით 169 ტონა ჩაის ფოთლის მოკრეფა.

№ 10
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახმეტის რაიონმა უკვე 15 ოქტომბრისათვის მოკრიფა 17.039 ტონა ყურძენი, რითაც მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა სახელმწიფოსათვის ყურძნის ჩაბარების წლიური გეგმა-ვალდებულება; წალენჯიხის რაიონის მეჩაიეებმა ოთხ წელიწადში გაანადგეს ჩაის კრეფის ხუთწლიანი გეგმა, ხოლო საჩხერის რაიონმა წარმატებით უზრუნველყო სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის მიმდინარე წლის 9 თვის გეგმისა და ვალდებულებების შესრულება.

მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობოდა აგრეთვე დეპუტატთა მიერ თითოეულ საარჩევნო ოლქში მუქთახორობის წინააღმდეგ ბრძოლას. საუბრების, პირადი მაგალითით და ზემოქმედების სხვა ფორმების გამოყენების შედეგად მინიმუმამდეა დაყვანილი იმ პირთა რიცხვი, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას.

ასე, მაგალითად, ახმეტის რაიონში აღრიცხული 35 მუქთახორიდან შრომაში ჩაება 28, წალენჯიხის რაიონში — 63-დან 19, ხოლო საჩხერის რაიონში — 35-დან 30.

ამასთან ახმეტის, საჩხერისა და წალენჯიხის რაიონების მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებს ყვარლის რაიონის გავაზის სასოფლო საბჭოს დეპუტატთა თარსნობის გავრცელებისა და დანერგვის საქმეში გააჩნიათ არსებითი ხასიათის ნაკლოვანებანი. საჩხერის რაიონის ყველა სასოფლო საბჭოს არ განუხილავს გავაზელთა ინიციატივა (სარეკის, ჩიხის, მერჯევისა და ჯალაურთის სასოფლო საბჭოები). ახმეტის რაიონში მართალია მოწოდება განხილულ იქნა, მაგრამ მის შესრულებაზე არ არის დაწესებული სათანადო კონტროლი (რაიონის 9 სასოფლო საბჭოდან 6 დღემდე არ შეუსწავლია შეჯიბრების მიმდინარეობა).

აღნიშნული რაიონების რიგ სასოფლო საბჭოში არასრულად იქნა შესწავლილი კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის რეზერვები და თითოეული დეპუტატის რეალური შესაძლებლობანი, რის გამოც აღებული ვალდებულებები უმნიშვნელოდ აღემატებიან გეგმებს. უფრო მეტიც, სასოფლო საბჭოს ზოგიერთმა დეპუტატმა სოცშეჯიბრის გაწლის დროს ადრე ნაკისრზე გაცილებით ნაკლები ვალდებულება აიღო.

ზოგიერთი საბჭო, მისი დეპუტატები არასათანადო მუშაობას ეწევიან სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, თითოეული შრომისუნარიანი მოქალაქის საკოლმეურნეო შრომაში ჩასაბმელად. საჩხერის რაიონში 5.277 შრომისუნარიანი კოლმეურნიდან, მიმდინარე წლის 9 თვეში შრომის სავალდებულო მინიმუმი არ გამოიმუშავა 588 კაცმა, ე. ი. 11,1 პროცენტმა; ახმეტის რაიონის მარტო ალვანის სასოფლო საბჭოდან უმისამართოდაა წასული 180 კაცი.

ადგილობრივი საბჭოები არ უწევენ საჭირო კოორდინაციასა და კონტროლს აღებული ვალდებულებების შესრულებას. ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა თვალსაჩინო აგიტაციასა და შეჯიბრების საჯარობას, გამარჯვებულთა მატერიალურ და მორალურ წახალისებას, ნაკისრი ვალდებულებათა შესრულების ურთიერთშემოწმებას, აღმასკომების, საბჭოების შესაბამისი მუდმივი კომისიების

სხდომებზე არ ხდება ცალკეული დეპუტატების ანგარიშების მოსმენა მოწინავეთა გამოცდილების განზოგადების მიზნით. სრულყოფილად არაა გამოყენებული ადგილობრივი გაზეთისა და რადიოს შესაძლებლობანი.

ზემოაღნიშნული ნაკლოვანებების არსებობა იმითაა განპირობებული, რომ ახმეტის, საჩხერისა და წალენჯიხის რაიონული საბჭოები, შესაბამისი მუდმივი კომისიები და მათი აღმასკომები ჯერ კიდევ სუსტად სწავლობენ და ანზოგადოებენ გავაზელთა ინიციატივის საპასუხოდ წარმოებულ მუშაობაში სასოფლო საბჭოებისა და ცალკეული დეპუტატების მიერ დაგროვილ მოწინავე გამოცდილებას, ნაკლებად ეხმარებიან მათ მუშაობაში, არ ახორციელებენ კონტროლს აღებულ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობაზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა ახმეტის, საჩხერისა და წალენჯიხის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს თავიანთ საქმიანობაში მტკიცედ იხელმძღვანელონ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბოლოდრიონდელი გადაწყვეტილებებით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 28 მარტის დადგენილებით „ყვარლის რაიონის გავაზის სასოფლო საბჭოს დეპუტატთა თაოსნობის შესახებ“ და უზრუნველყონ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მუშაობის მკვეთრი გაუმჯობესება, რისთვისაც:

სრულყონ ორგანიზატორული და ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა, მიაღწიონ იმას, რომ თითოეული დეპუტატი, თითოეული მშრომელი განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას გრძნობდეს აღებულ ვალდებულებათა შესრულებისათვის;

საბჭოს სესიებზე, მუდმივი კომისიებისა და აღმასკომების სხდომებზე, დეპუტატთა შეკრებებზე და მშრომელთა კრებებზე სისტემატურად განიხილონ საკითხები თითოეულ კოლმეურნეობაში და საბჭოთა მეურნეობაში გავაზელთა ინიციატივის პასუხად გაწლილი მუშაობის მიმდინარეობის, მასში ყველა დეპუტატის მონაწილეობის შესახებ; ამ საქმეში ფართოდ ჩაებან მუდმივი კომისიები, დეპუტატთა ჯგუფები და საგუშაგოები, საბჭოს აქტივი და თვითმოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაციები;

შექმნან დეპუტატთა და მშრომელთა მიერ აღებულ ვალდებულებათა შესრულების მატერიალურად და ორგანიზაციულად უზრუნველყოფის ყველა საჭირო პირობა, დროულად შენიშნონ და თავიდან აიცილონ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების ჩაშლის საფრთხე. იბრძოლონ შრომისადმი ნამდვილი კომუნისტური დამოკიდებულების, შეჯიბრებაში ჯანსაღი შრომითი მეტოქეობისათვის, მატერიალურად და მორალურად წაახალისონ საუკეთესო კოლექტივები და დეპუტატები;

განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობებსა და წარმოება-დაწესებულებებში სახელმწიფო, შრომის და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებას, საარჩევნო ოლქში უფრო გააქტიურონ დეპუტატთა საქმიანობა მუქთახორებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ;

გაძლიერონ მუშაობა შეჯიბრის ეფექტიანობის ამაღლებისათვის, მისი მასობრიობისათვის, საჯაროობისა და შედეგების შესადარების უზრუნველყო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფისათვის, მოწინავე გამოცდილების განზოგადებისა და დანერგვისათვის, ამ საქმეში უფრო მეტად გამოიყენონ ადგილობრივი პრესა და რადიო.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული, ჭიათურის, ტყიბულის, ტყვარჩელისა და გაგრის საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს დაევალაო განიხილონ გავაზელთა ინიციატივასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 28 მარტის დადგენილების განხორციელების მდგომარეობა და მიიღონ ზომები მის შესასრულებლად.

საინფორმაციო ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1974 წლის 19 ივლისის ბრძანებულებით „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლით“ დააჯილდოვა 421 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

ქ. თბილისიდან		4
ქ. ზუგდიდიდან		11
ქ. რუსთავიდან		6
ქ. ტყიბულიდან		8
ქ. ქუთაისიდან		11
ქ. ჭიათურიდან		33
ადიგენის	რაიონიდან	2
ასპინძის	„	4
ახმეტის	„	19
ბოგდანოვკის	„	34
გორის	„	31
დმანისის	„	91
ვანის	„	13
ზუგდიდის	„	17
თეთრი წყაროს	„	2
ლანჩხუთის	„	6
მარნეულის	„	79
მახარაძის	„	12
ცხაკაიას	„	9
ხაშურის	„	7
სამხრეთ ოსეთის ა/ოლქი		11

ცვლილებები ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 4 ოქტომბრის ბრძანებულებით სოფელი დიდი ლილო გარდაიქმნა დაბად, ხოლო დიდი ლილოს სასოფლო საბჭო — სადაბო საბჭოდ.

დიდი ლილოს სასოფლო საბჭოს დეპუტატებს გაუგრძელდათ რწმუნებანი დიდი ლილოს სადაბო საბჭოში.